საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, თავისუფლების მოედ. №4



საპროექტო ნაგებობა №4, 2016წ

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
მაისი
2016წ.

საპროექტო ობიექტის მდებარეობა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან გარეთუბნში (ძვ. თბილისის გამგეობა} თავისუფლების მოედ. №4. სახლი მოედნის მჭიდრო განაშენიანებაშია მოქცეული. ნაგებობის ფასადი თავისუფლების მოედნისკენ და პუშკინის სკვერისკენ იმზირება.

საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ნაგებობის პირველი სართულის შუა ნაწილზე, მიწისქვეშა გადასასვლელების ჯებირებს შორის ღია კაფეს მოწყობა და წინფრის დაპროექტება.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

სახლი №4 აღრიცხულია ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლად

ორგვლივ არქიტექტურული ძეგლებია:

საცხოვრებელი სახლი – რუსთაველის პრ. №1;
ქალაქის საკრებულო – თავისუფლების მ. №2

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

შბნის და ნაგებობის ისტორია



თავისუფლების (გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი) – XIX ს-ის II ნახევარი.

ტერიტორია სადაც XIX ს-ის I მესამედში ჩამოყალიბდა თავისუფლების მოედანი, მდებარეობს სოლოლაკის, გარეთუბნისა და კალას საზღვარზე, ისტორიული გარეთუბნის ზედა ნაწილში. დღევანდელი თავისუფლების მოედნის ზემოთ ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ნაგებობები არ ჩანს. აქ აღიშნულია ავანაათ ხევი და **დიღმის ისტორიული გზა**, რომელსაც დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი მიუყვება. აქვე იყო მეფის ბაღი, დედოფლის ბაღი და მამასახლისის ბაღი.

თბილისის გალავნის კედლის მონგრევის და ავანაათ ხევის კოლექტორში მოქცევის შემდეგ აქ წარმოიქმნა მოედანი და მას **„პასკევიჩ-ერვანსკის მოედანი"** ეწოდა, 1828 წელს რუსეთის არმიის მიერ ქ. ერევნის აღების აღსანიშნავად და მხედართმთავარ გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის პატივსაცემად. 1851წლის გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში" აღწერილია, რომ ერევანსკის მოედნი ერთ და ორსართულიან სახლებით იყო შემოფარგლული.

1820-იანი წლებიდან მოყოლებული ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, სადაც დიდი ბაზრობა იმართებოდა, აშენდა რამდენიმე ხუროთმოძღვრული ორიენტირი, რამაც განსაზღვრა მოედნის კონფიგურაცია და ქალაქის მთავარი ქუჩის, დღევანდელი **რუსთაველის პროსპექტის**, მიმართულება. **1824 წელს აიგო კავკასიის არმიის კორპუსის შტაბი** (შენობა რომელზედაც უნდა მოეწყოს წინფრა) (ეს შენობა გადაკეთდა XXს-ის შუა პერიოდში, როდესაც ფლანგებზე, ეზოში შესასვლელ თაღებზე დაემატა მოცულობა). 1882-86 წლებში ახლანდელი მერიის ადგილზე აშენდა – **საქალაქო პოლიციის შენობა** (შენობა გადაკეთდა 1882-86 წლებში – არქიტ. მ. შტერნი, 1912 წ. დაემატა მესამე სართული ფლანგებზეც).

XIXს-ის ბოლოსთვის დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. მოედანი, **სასახლის ქუჩა** და **გოლოვინის პროსპექტი** – ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა.

XXს-ის პირველ მეოთხედში თავისუფლების მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის სტრუქტურა აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი ნაგებობები.

XXს-ის მიწურულს, მოედნის სამხრეთ ნაწილში, შტაბის შენობის გვერდით, დამწვარი ნაგებობების ნაცვლად ააგეს სასტუმრო **„ქორთიარდ მერიოტის"** მასიური შენობა. აქტიურად დაიწყო ამ უბნის განაშენიანებაში ცვლილებების შეტანა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და წამყვანია ამ ცვლილებებამდე არსებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება.

მოკლე აღწერა



მოედანი და სასახლის ქუჩა, 1860-იანი წწ.



1880-იანიწწ.



მოედანი და სასახლის ქუჩა, 1900-იანი წწ.



1920-იანი წწ



საპროექტო ობიექტი, ხედი თავისუფლების მოედნიდან, 2007წ.

ყოფ. შტაბის შენობა მკაცრი კლასიცისტური არქიტექტურის ტიპური ნიმუშია – მძლავრი ცოკოლით, რუსტირებული საფასადო სიბრტყით, მრგვალსვეტებიანი ცენტრალური ლოჯიით, მაღალი პარაპეტით და აკროტერიული აქცენტით, რომელშიც ქალაქში პირველი საჯარო საათი იყო მოწყობილი.

დასკვნა და რეკომენდაციები



საპროექტო ადგილი, 2016წ.

ამგვარად, XIX ს-ის პირველ მეოთხედში აგებული შენობა არის თბილისის ერთ-ერთი პირველი კლასიცისტური ნაგებობა და საკუთარი ხუროთმოძღვრული მნიშვნელობის გარდა იგი ღირებულია, როგორც იმ ეპოქის თბილისის განაშენიანების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამგვარი ნაგებობები განსაზღვრავდნენ XIX-XX სს-ის დასაწყისში თბილისის ჩამოყალიბებას ევროპული ტიპის ქალაქად.

ეს ნაგებობა მიჩნეულია ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლად. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1.

ამიტომ, აქ წინფრის მოწყობის ან ნებისმიერი სახეცვლილების შემთხვევაში ძალზე ფრთხილად უნდა მოვიქცეთ. კარგად უნდა შეირჩეს ადგილი. წინფრამ და აბრებმა არ უნდა დააზიანოს და გადაფაროს საფასადო სიბრტყის არქიტექტურული თარაზული და შვეული ელემენტები. კომპოზიციურად უნდა იყოს გამართული. შესაძლებელია თანამედროვე მასალის გამოყენება, ოღონდ არ უნდა იყოს დიდი ზომის. მაგიდებისა და სკამების მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ ერთ მონაკვეთზე, რომ არ შეიზღუდოს კიბის ფუნქცია. მნიშვნელოვანია ასევე პანდუსის მოწყობა ინკლუზიური თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, რომ ესკიზური პროექტი და ფოტომონტაჟი შესრულდეს ნაგებობის როგორც ახლო, ისე ფართო ხედზე;

ასევე მნიშვნელოვანია შესასრულებელი სამუშაოს მაღალი ხარისხის გარანტია.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჯანიშვილი

20. 05. 2015